

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

№13 ბიუროს სხდომის დღის წესრიგი

2016 წლის 27 ოქტომბერი

1. **საკითხი:** „საკრებულოს დეპუტატის იოსებ კავსაძის გარდაცვალებისა და საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის ცნობად მიღების თაობაზე (საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებისა და „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე)“. მომხსენებელი - ჯემალ სოლოდამვილი.
2. **საკითხი:** „ფრაქცია „პატრიოტი“-ს დაშლის შესახებ“ - საკითხის ცნობად მიღების თაობაზე. მომხსენებელი - გიორგი ბაინდუროვი.
3. **განკარგულების პროექტი:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. მომხსენებელი - გიორგი ბაინდუროვი.
4. **განკარგულების პროექტი:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული 2016 წლის სექტემბრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“. მომხსენებელი - ოთარ ჩხეიძე.
5. **განკარგულების პროექტი:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის №18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“. მომხსენებელი - თამაზ მოძღვრიშვილი.
6. **განკარგულების პროექტი:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ მუხრანის ტერიტორიაზე, შპს „ვექტრუმ 2015“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 72.09.26.092; 72.09.26.093; 72.09.26.094) „გვერდებზე მსხმოიარე კაკლის ბაღის განაშენიანების პროექტის ფარგლებში“ კაკლის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისათვის „დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების“ დამტკიცების შესახებ“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.
7. **საკითხი:** საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2016 წლის 18 ოქტომბრის №01/3247 წერილის გაცნობა



(მშენებლობის ნებართვის გაცემისას, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, საქართველოს კანონის „საავტომობილო გზების შესახებ“ 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვის გათვალისწინების თაობაზე და საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ კონტეინერების განთავსების უზრუნველყოფის შესახებ - რათა ისინი ხელმისაწვდომი იყოს მგზავრთათვის და ზემოაღნიშნული გზების დასუფთავებისას წარმოქმნილი ნარჩენების განსათავსებლად“. მომხსენებელი - გოჩა ლაბაური.

8. **საკითხი:** „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების გაცნობის თაობაზე. მომხსენებელი - ნინო ლაზვიაშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოღაშვილი